


საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 12 ივლისი, 2008 წელი.
№ 129 (5987)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

განიხილეთ თუ არა საქართველო უნიკალური?



ანტიემბრონული რეფორმები 6 უნდა აღიკვეთოს!...



ოპის უიში კავკასიაში


10

Berliner Zeitung

5 რუსა ქვეყანას უიუველი, უუფლავო ქალა მართავს

არჩილ გეგუშია: აუუ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტის მთავარი მესიჯი პრინციპულ საკითხებში საქართველოს მხარდაჭერა იყო

2-4



80 წელს ახალგაზრდა დედის მუშაობა

კუბაში ტყულების დედამ თავის ქალ-ვაჟს სურიკელა და სურიკელო დაარქვა

12

© ნომრის კარიკატურა



თქვენ რას დაარქმევდით?!



ნოგრაფია „სონეტი საქართველოში“ ვერსიფიკაციური პარამეტრების შესწავლის საფუძველზე სონეტის ისტორიისა და თეორიის პრობლემებს აანალიზებს.

ეს წიგნი გახლავთ პირველი სრული სურათი სონეტის ისტორიის შესწავლის ეტაპებზე საქართველოში და ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უნიკალურია და განსაკუთრებულად ღირებული. (აქვე აღსანიშნავია ბატონ აკაკი ხინთიბიძის „ლექსთმცოდნეობის“ სკოლა, ვისი ერთ-ერთი მოსწავლევც თამარ ბარბაქაძე გახლავთ).

ამონარიდები რეცენზიებიდან: „ქართული სონეტის შესახებ ახლის თემა მეტად გაძნელებდა, მაგრამ თამარ ბარბაქაძემ შეძლო სრულიად ახალი კუთხით მიდგომოდა საანალიზო პრობ-

აღორძინება, ძირითადად, 70-80-იანმა წლებმა განაპირობა 10-20-იანი წლების მსგავსად, ეროვნული მწერლობის ჩართვამ მსოფლიოს სალიტერატურო პროცესში (ალ. აბაშელი, ვალ. გაფრინდაშვილი, ლ. სეიდიშვილი, გ. კალანდია, ლ. სტურუა და სხვები)“.

მკვლევარი თვლის, რომ ქართული პოეტებისთვის „სონეტი მხოლოდ უცხოური, ეგზოტიკური მყარი სალექსო ფორმა კი არ იყო, არამედ საკუთარი შემოქმედების აუცილებელი და ორგანული ნაწილი“...

როგორც ჩანს, ყოველი საუკუნის (მათ შორის, XX და XXI) დასაწყისი ეტაპები, პრობლემათა თვალსაზრისით, ემბიანებიან ერთმანეთს.

დღეს ისევე აქტუალურია

სონეტის თემა XXI საუკუნეში

„ჩვენ, ქართველები, ელლინების, რომაელების და ფრანგების მემკვიდრეები ვართ ფორმის სიყვარულში. ჩვენი ბუნება იმდენად მჭევრმეტყველია, რომ შეუძლებელია ფორმის პრიმატის უარყოფა... ქართველ პოეტებს სწამთ სონეტი, როგორც უნივერსალური ფორმა შემოქმედებისა“...

ვალერიან გაფრინდაშვილი, 1919 წელი


„ვალერიან გაფრინდაშვილმა მოიტანა სიცივე და ზომიერება ევროპიელისა... საქართველოში არავის ყვარებია სონეტი მასავით“... – ასე გამოხატავდა „ქართული მინიატურის მოცარტი“ – სანდრო ცინევიძე დამოკიდებულებას სონეტის ფორმისა და იმ საერთო განწყობილებისადმი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის ქართულ სინამდვილეში სუფევდა – განახლების მცდელობა ევროპეიზმის ნიშნით.

„ჩინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს“... (ტიციან ტაბიძე).

სწორედ „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებით მკვიდრდება ჩვენში „სონეტის შეუდარებელი გოტიკა“.

ქართული სონეტი პოეტური კულტურის განვითარების უმაღლეს საფეხურზე განხორციელდა და დამკვიდრდა, როგორც კანონიკური, ისე არაკანონიკური სახით. (ი. გრიშაშვილის „კოჭლი სონეტი“, გრ. რომაქიძის „ამორძალი ლონდა“, ვალ. გაფრინდაშვილის „ყრუ სონეტი“ და ა.შ.)

სონეტის ფორმის და შინაარსის დეფინიციის, წმინდა თეორიულ განმარტებას, სონეტის ფილოსოფიურ არსში წვდომის მცდელობაც უნდა ახლდეს („მასწავლეთ ფიქრი გულით, და გრძობა გონებით“ თ. ფონტინე). ამავე დროს, სონეტზე მსჯელობა ცალმხრივია ესეისტური ხედვის გარეშე, („სონეტი-თეორემაა. შეიძლება მისი ავტორი მათემატიკოსი იყო და არა პოეტი“. ვ. გაფრინდაშვილი).



სონეტის პრობლემის, მისი ნამდვილი არსის მონიშვნა ისეთივე დეტალიზაციას ითხოვს, როგორც ვთქვათ, პოეტიკის – სისტემის თუ ცალკე დისციპლინის ადგილის განსაზღვრა ფილოლოგიურ მეცნიერებაში.

სონეტთან დაკავშირებული საკითხების თეორიული დამუშავება უკვე არსებული სოლიდური კვლევების სიღრმისეულ შესწავლას და პარალელიზაციას ითვალისწინებს.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თამარ ბარბაქაძის ახლადდასტამებული მო-

ლეზას. შეძლო პრობატევადი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ვადმოყვება თავისი ახალი მონაცემები ქართულ სონეტზე“.

გივი მიქაძე „სონეტის დაბადების თარიღის დადგენით და ახალ სონეტთა აღმოჩენით მკვლევარი დიახაც, რომ ავსებს XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის თეთრ ფურცლებს და ამ ურთულესი უანრის ავტორიტეტულ, კომპეტენტურ მკვლევარად გვევლინება“.

რევაზ მიშველაძე „ნაშრომში მოყვანილ მაინტრიგებელ პარალელთა შორის ყველაზე ორიგინალური მე მაინც, ის პარალელი მიმაჩნია, სადაც მეცნიერი სონეტის 14 მჭკარს მათეს სახარებაში დადასტურებულ კაცთა მოდგმის 14 თაობას უკავშირებს...“

ქალბატონი თამარი არ ცდილობს და ეს გასაგებია, ამ კავშირის კანონზომიერების მეცნიერულ ახსნა-განმარტებას და მსჯელობას მეტაფიზიკურ აკორდზე ამთავრებს: „სონეტის 14 სტრიქონის საიდუმლო „თოთხმეტის“ მისტიკური, გამოუცნობი მიმზიდველობაც, ასე რომ აქემგებდა საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო პოეტებს, ალბათ, კაცობრიობის მარადიული, უძველესი, ჭეშმარიტი და მღაპრული ისტორიის ფურცლებშია ჩამარხული“.

სულხან ჟორდანიას * * *

თამარ ბარბაქაძე: „ცისფერყანწელების“ შემდეგ ქართულ მწერლობაში სონეტმა ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა, რისი ძირითადი მიზეზი იყო არაოფიციალური აკრძალვა სონეტის ფორმისა და მისი შეუთავსებლობა საზოგადოებრივი სინამდვილესთან. სონეტის მეშვეობით შეუძლებელი იყო სოციალისტური აღმშენებლობის გამოხატვა. სონეტის

„უცხოეთთან“ დამოკიდებულების თემა, როგორც XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის („ცისფერყანწელთა“) კატეგორიული განაცხადი – მხოლოდ იმ ევროპულ ფასეულობათა გადმოღების შესახებ, რომელიც თვისობრივად ახლოსაა ქართულ მენტალიტეტთან და მყარად გაიდგამს ფესვებს ეროვნულ ნიადაგში...“

რაც შეეხება სონეტს: ამ უკვე ტრადიციულ ქვეყნულ, დახვეწილ, კანონიკურ სალექსო ფორმის შესაძლებლობების ბოლომდე გახსნა და ლექსთმცოდნეობის სტანდარტებით ფორმულიზება, ვფიქრობთ, საკმაოდ რთული ამოცანაა და ქალბატონ თამარ ბარბაქაძის მონოგრაფია „სონეტი საქართველოში“ პრობლემის კომპლექსური შესწავლის წარმატებულ ცდად უნდა შეფასდეს, ხოლო ნაშრომის პოეტნიკურ მნიშვნელობას დრო განსაზღვრავს... შემოქმედებითი პროცესების აუხსნელ საიდუმლოსთან დაკავშირებით ვალერიან გაფრინდაშვილის მეტაფორულ განმარტებას მოვიშველიებთ: „ეს ამოწურავს სონეტის ფორმის მნიშვნელობას და სონეტის იდეას? იმან, ვინც ეს ციხე ააშენა, გადაკეტა და ამ ციხის კარებიც და გასაღებიც ზღვაში გადაისროლა“...





უკანასკნელად - სხენაზე

თეატრისა

და ცხოვრების რეპერტუარი...

„ყველაფერი ეს თითქოს სცენაზე ხდება... მსახიობი ვეღარ და მერე იგივე მსახიობი გამოიყვანის რა სამოსს, ვეღარ გამოიყვანის რა სამოსს, ვეღარ გამოიყვანის რა სამოსს... მაგრამ ცხოვრებაში სიკვდილი ნამდვილია... და თუ სიკვდილიც სხეულის გამოიყვანა, ისევე, როგორც სცენაზე სამოსისა, ანდა სულაც სულის დატოვება, როგორც იქ, სადაც მსახიობი წარმოდგენის შემდეგ საბოლოოდ ტოვებს სცენას, ხოლო შემდგომ ვეღარ უბრუნდება, რათა სხვა როლი ითამაშოს“... (დ. ლოსევი) მაშინ რატომ უნდა იყოს საშუალო სიკვდილი, ანუ გარდაცვალება?

რამდენიმე წლის წინათ, მარჯანიშვილის თეატრის თითქმის დანგრეულ კულისებში, დამტვირთილ სცენაზე, დერეფნებში, სადაც ხარაჩოები იყო აღმართული, ბატონ **ჯემალ მონიაგას** ოპერატორთან ერთად დავყვებოდით და დოკუმენტურ კადრებს ვიღებდით...

ბატონი ჯემალი საუბრობდა ძველ მსახიობებზე, სცენის მუშებზე, აფიშების გამკვერელზე, ფარდის გამწვებზე...

გაიხსენა ტიციანის სიტყვებიც: „ქართველ კაცს უყვარს ცხოვრების თეატრალიზაცია“...

და როცა ავანსცენაზე დადგა, უცებ მისი ხიზლის განსაკუთრებული მიზეზი ვიგრძენი: ეს ადამიანი თავის თავში, დიდ კულტურასთან ერთად, ატარებდა ძველი სცენიდან წამოსულ, გასული ეპოქის მსახიობების დატოვებულ, განუმეორებელ აურას და, ამავე დროს, უაღრესად თანამედროვეც იყო. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, რბილი ღიმილით, რაღაც შიგნით ჩაბრუნებულ ძალას ფლობდა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ამ დამყავ ძალას, რის დემონსტრირებასაც არასოდეს ახდენდა, მისივე კეთილშობილება ანიჭებდა...

„ისევე წინასაპრემიერო განცხადება მეუფლება... ისევე პულისისა და სუნთქვის აჩქარება... დაძაბულობა და გარბნობა: „რა, როგორ მოხდება?“...“

ჩემი სამსახიობო კარიერის მანძილზე, მუფონადიდან - ტრადიციულად, ყველანაირ უანში მიმუშავია, ყველანაირ სახეში მომისინჯავს თავი, მაგრამ ეს სულ სხვაა... მწერლობა არ ჯდება სამსახიობო რეპერტუარში“...

სამაგიეროდ, მწერლობა მისი

ცხოვრების რეპერტუარში ჩაჯდა... ერთი ცნობილი ლინგვისტი წერდა: „სცენური სიტყვა ეს არის კომპრომისი დაწერილს და წაკითხულს შორის...“

რაც ალბათ იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ პიესას, რომელიც საბოლოოდ სცენისთვისაა განკუთვნილი, თავდაპირველად წერილობითი ფორმა ეძლევა. სცენაზე ნათქვამი კი სადაც, მათ შორისაა, რაც დაიწერა და რაც დაწერილის მიხედვით უნდა თქმულიყო...

ჯემალ მონიაგამ შემოქმედებითი კომპრომისების გარეშე შეძლო მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების გაერთიანება ისე, რომ არც ერთ დარგს არ დაუკარგა ავტონომიურობა.

ის არ თხოულობდა შეღავათს მწერლობაში, იმიტომ რომ მსახიობი იყო და არც სცენური ყოფის გაიოლებას, იმიტომ რომ მწერალი იყო.

მახსოვს, მისი ნიჭიერების კიდევ ერთი გამოვლინება - არაჩვეულებრივი გამოფენა - ხის ფესვებისა და ტოტემისგან დამზადებული კომპოზიციები...

შუთიერთობის მაღალი კულტურა, ჯემალ მონიაგას თანდასწრება ნებისმიერ საზოგადოებას (თეატრში, ტელევიზიაში, რადიოში, ხმის ჩამწერ სტუდიაში) აკეთილშობილებდა. მის გვერდით ვეღარ ახერხებდნენ ყოფილიყვენ სხვათა გამკვირვებელი, შურისმაძიებლები, წვრილმანნი, აგრესიულები...

იგი არავის მოძღვრავდა, არც დიდაქტიკური ტონი შეჰქონდა დიალოგებში, მაგრამ ერთგვარი დაუკონკრეტებელი ფორმით, შესაძლოა, მისივე მაგალითის ძალით, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს გვასწავლიდა...

„თეატრი საოცრებაა... საოცარია მთელი მისი სამყარო, იდეალური და ნისლმომბრუნელი, ნაცნობი თითქოს, ერთი შეხედვით მარტივი, მოხეივნი, ფუქსავატურიც, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით: სინამდვილეში საოცრად რთული, უძირო, ჭრთამთმენი და შეუცნობელი“ (ჯ. მონიაგა).

„ჭრთამთმენი და შეუცნობელი“... ადამიანები ისე, როგორც საკუთარ სახლებს, იმ გარემოსაც გვანან, სადაც ცხოვრებას ატარებენ...

ბატონი ჯემალის ავტორიტეტს თუ რანგს, მისივე მაღალი პროფესიონალიზმში განსაზღვრავდა. ის ერთნაირად ძლიერი იყო, როგორც სახისათვის როლის შემსრულებელი მსახიობი, როგორც პოეზიისა და პროზის უმაღლო მკითხველი...

ქართველი პოეტის ეს სიტყვები მოსწონდა: „ჰეროდოტის პიესის გმირი ხშირად ასრულებს თურმე ვოდევილს...“ არა თეატრის, არამედ ცხოვრებისეულ კონტექსტში გადაჰქონდა...

ბატონი ჯემალის ბოლო წიგნის პრეზენტაცია და შემოქმედებითი საღამო, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში შედგა და მაყურებელთა და თავყვანისმცემელთა რამდენიმე თაობას აერთიანებდა, რაღაც დაძაბული იმუხტით, დაიწყო... დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ, **ჯემალ მონიაგა, როგორც დენდი, მყარად და იმედისმომცემად იდგა სცენაზე...**

იქ მაყურებელი მხოლოდ თეატრალური თუ ლიტერატურული ინტერესებით არ იყო მისული. შუკრებილი საზოგადოება **პიროვნება - ჯემალ მონიაგასადმი** თანაგრძობას და ერთგულებას გამოხატავდა.

უკვე ძალიან ავად იყო, როცა ტელეფონით შევეხმიანეთ: ახლადდაანსებულ **სტუდიაში „Memoria“**, გრიგოლ რობაქიძის უკა-

ნასკნელი წლების შესახებ აუდიო-კომპაქტდისკის მომზადება დაიწყო-მეთქი.

– **„მოდი, მამი, როგორც შემოიძლია, ამოვიდგები მხარში. ხვალვე გამოიტანე სცენარი...“**

– როგორი იმედისმომცემი იყო მისი უკვე ოდნავ გაზრდილი ხმა!.. მეორე დღე... ბატონი ჯემალის საოცარი ოჯახი. კეთილი, კეთილი გარემო... შემფოთებულნი იყვნენ და ნაღვლიანნი...

ბატონი ჯემალი ლოგინიდან ვეღარ დგებოდა.

– **„არა უშავს, მამი, მიჭებს ვეტიყვი და წამომაყენებენ. სავარძელში დამსვამენ და ისე წა-**



უკანასკნელად - ხმის ჩანარაზე

ვიკითხავ ტექსტს. დიაფრაგმა ხომ სწორად უნდა მქონდეს დაყენებულს“...

სამი დღის შემდეგ საკმაოდ ვრცელი და რთული ტექსტი საფუძვლიანად დამუშავებული ჰქონდა. ეს იყო გერმანელი მწერლის ნ. ზომბარტის შემუშავებული და მოგონებები რომაქიძის ცხოვრებასა და ზედზე...

რამოდენიმე სიტყვა და ფრაზა ცალკე ჰქონდა ამოწერილი.

მისაყვედურსავით: „ეს საშინლად წარმოსათქმელი სიტყვა სად იშოვეო, - „რაიხსშრიფტ-ტუმკამმერის პრეზიდენტი“. სხვა სიტყვაზე მიჩნია: „უკეთესი სინონიმი უნდა მოუძებნოო“, რაშიც სრულიად მართალი იყო.

სცენარში არსებულ ზერდიავის წერილებს საყვარელი ქალისადმი, სადაც პათოლოგიისმაგვარი განცდები გამჟღავნებული, აღნიშნა: „ვერ გავიგე და არც მინდა გავიგო რა ფილოსოფიაო ეს“!..

ამაშიც, ალბათ, მართალი გახლდათ...

სათქმელს ზუსტი მისამართით აყალიბებდა, დეტალებს წვდე-

ბოდა. მამის ვერაფრით წარმოვიდგინებდი, რომ მიუხედავად ფიზიკური უძლურებისა, ამ მოაზროვნე, ნიუანსებზე რეაგირების მქონე პიროვნებას, სულ რამდენიმე დღის სიცოცხლედა ჰქონდა დარჩენილი...

ჩაწერის დაწყებისას სიძემ და შვილიშვილმა საწოლიდან წამოაყენეს, სავარძელში ჩასვეს. ყინულიანი წყალი მოითხოვა. კითხვის დაწყებამდე და მერეც ნელ-ნელა სვამდა... ყელი უშრებოდა...

ხმის რეჟისორი **ზაკო ხეჩია**, უდიდესი პასუხისმგებლობით და დაძაბულობით აკეთებდა თავის საქმეს. ეს სრულიად უჩვეულო ჩაწერა იყო - დიდი პროფესიონალის უკანასკნელ მონოლოგს ჰგავდა.

ვრცელ და არაერთმნიშვნელოვან ტექსტებს დიდი ოსტატობით, სათანადო აქცენტებით კითხულობდა...

ჩაწერის დაწყებიდან, სულ რამდენიმე წამში, ჩვენს წინაშე ნამდვილი მანქანო წარსდგა, რომელსაც შემოქმედებით პროცესში ავადმყოფობა ვერ მოერია, თვით ყველაზე საშინელი სენიც კი თითქოს უკან იხევდა...

ფინალი ალტაცების და სიხარულის შეძახილით დაასრულა: **„ხომ გვაკეთე ის, რაც მინდოდა!“**...

დამშვიდობებისას მითხრა: **„ეს დღეები სულ ამ სამუშაოთი ვცოცხლობდი“**...


მადლობელი ვარ, ბატონო ჯემალ! მადლობელი ვარ, ამ არაჩვეულებრივი დღისთვის... მადლობელი ვარ, რომ საერთოდ არსებობდით, თქვენი კეთილშობილებით, რაინდული სულებით, ნამდვილი ღირებულებებისადმი ერთგულებით...

დღეები გადის, ბატონო ჯემალ, და რა მტკივნეულია, რომ სცენისგან განსხვავებით, ცხოვრებაში - სიკვდილი ნამდვილია... მაგრამ იქნებ ესეც ნიღბების ან სამოსის გამოცვლაა მხოლოდ და რაღაც ყველაზე მნიშვნელოვანი მერე იწყება...

ამგვარი საიდუმლოს შესახებ თქვენ ახლა ყველაფერი ზუსტად იცით და მეჩვენება, რომ განუმეორებელი, კეთილი ღიმილით, იმ სამყაროდანაც იმედისმომცემად გვიმზერო...

ნიწო ხოჭარია
ჩანართზე მუშაობდნენ
ნიწო ხოჭარია
და კახა შორიძე

მზიური ნიჭი



სიცილი ნოღარ ღუმბაძისათვის თვითღამკვიდრების ნიათივე გუნდებრივი ფორმაცია, როგორც მხატვრობის რისკისათვის ომი ან ჩიტიისათვის ფრანა.

ერთხელ ვიკრადი საუბრის დროს მითხრა: „მე თავისუფლებას მიწოდებ და სიცილი იმისათვის ავირჩიე“. ამ სიტყვებში დიდი და ამაღლებველი აზრი დევს, სიცილით განმარტლებს დიდი განსახიანი მოუპოვებელი ნაზრების და გულსნაღვას, და რაც მთავარია, ეს თავისუფლებას გორმთად არ გამოუყვანებია. მისი სიცილის მთავარი დანიშნულებაა სიკეთისათვის კარის გაღება. სწორედ სიცილით შეგვახვარა მან თავისი უსახვარლესი გმირები, სიცილითვე გვანიშნა ადამიანთა შეცდომების მრავალი სათავე, ოღონდ ისა, რომ ყველა თავის მსხვერპლს გამოსავალი დაუტოვა. ნუგეზის წყალი არ გადაუ-

წურა, წვლით და თანაგრძობით მოაღვო მათი გაცევაული შეგნება.

სიცილი ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის უმთავრესი ნიშანბანია. ვიღრა ადამიანს მხარე, მოყვარე, თავის თავზე, საერთოდ რაიმეზე გაცინება შეუძლია, ეს ნიშნავს, რომ მისი საქმე ჯერ კიდევ არ წაგხდარა. ხალხი, რომელმაც ასეთი სალი, გადაგდები სიცილის უნარი შეინარჩუნა, არ არის განწირული.

ეს უნდა თქმულიყო, ეს უსათუოდ უნდა ეთქვა ვინმეს ჩვენს დროში – დიდი ზარისა და განსაცდელის, სუკუნის დიდ წარღვანთა შეგდება. და ეს თქვა ნოღარ ღუმბაძემ, ეს იყო მისი უპირველესი სათქმელი. ამის ასე თქმა სხვას არავის შეეძლო.

გურამ ასათიანი

გვესაუბრება მწერლის ქალიშვილი

ნოღარ ღუმბაძე ის პადენიერი მწერალია, რომლის ნაწარმოებებზე შემოქმედის გარდაცვალების შემდგომაც კვლავ უნდა ახლოვდები და კვირფასო რჩება მკითხველისთვის. ღუმბაძის სამხაროში მოსვდრისას სომ უნდა გიყვრებოთ გმირთა სულიერი სიმაღლე და მოქმინადი სიყვარულის ძალა.

თუმცა ამჟამად მწერლის შემოქმედების მოყვარულთ ცოტათი გავანვილებთ და მისი თხზულებების შესახებ ვერ ვინაუბრებთ.

წელს საიუბილეო თარიღია – გატონ ნოღარს 80 წელი შეუსრულდება. შემოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გვესაუბრება მწერლის ქალიშვილი ქეთი ღუმბაძე

– ქალგატონო ქეთი, რა დროიდან გახსოვთ მამა?

– ამ იგი ძალიან ახალგაზრდა მახსოვს, – ჯერ კიდევ თავისი ახალგაზრდული სიტყვებით – ჩემთან ერთად ველონიკებით დავდიოდა და დარგოდა...

– ჩვენს დროში როგორ წარმოგიდგინეთ მამის პოზიცია? ვის გვირდობდა და გავაზრდა გატონი ნოღარი?

– ამ კითხვებზე ვასუსხს გაცემას მიჭირს... ალბათ, იმ, საითაც სიმახრელებს. სადაც სიკეთე და მიტმეველებს, ნიჭიერებას...

მე ისეთ გარემოში გავიზარე, სადაც სათნოება და სიყვარული სუფევდა. მამინე ერთმანეთის შემოქმედებით წარგატებადით ალფრთოვანებას კი შეეძლო. დღეს კი მსგავსი რამ თითქმის არ ხდება. როდესაც „ლიტერატურულ საქართველოში“ მამა გვიგვარდა მწერლის ან თუდვაც ახალგადა ლიტერატორის ნამოღვაწარს წაიკითხავდა და მოეწონებოდა, მაშინვე ტელეფონით უაკვირდებოდა ავტორს და გამარჯვებას ულოცავდა.

– მკითხველთა გამოგზავრებას თუ იღებდა? ალბათ, ძალიან ახარებდა...

– მკითხველთა გართობა თითქმის ყოველდღიურად იღებდა. გამოგზავრებები რუსეთიდანაც მოსდიოდა. ძალიან ხშირად ტელეფონზეც ურეკავდნენ.

ამის არჩივში დღისათვის ამ

მიწაო ქართლისა!

მე ვარ თხელი, ჩამოვარდნილი შენს გაცოცხლებულ ხნულში. გაგაღვივი, ალფრაცხენე და გაგაღვივი, მამოლო ჩემო!

დღეაო ქართლისა, მე ვარ პირველი შენი, მასვი რა შენი, დამახენე ფეხზე, გავიგებო მუსლი და მატარა შენს კურთხეულ მინება.

ზეცაო ქართლისაო, არ ჩამიძრო მზე ცის ლაშვარდებში, არ მოგაკლო სითოო და სხივი გაცოცხლებელი მისი.

„მრწამს, რომ არს ენა საიდუმლო უსახეთს და უსულთ შორის და უცხოველს სხვათა ენათა არს მნიშვნელოვა მათი საუბრის“. მე დრგად ვარ დარწმუნებული ამაში და ამიტომ მივმართებ მინებას და ცას ქართულსა, მე მჯერა, რომ გავიგონებენ ისა, რომოც თავის დროზე გაუგონეს მათააკი წერეთელს.

იქნებ ვაზია საფოტოლო? აბა, დააკვირდით, თუ დაგაღვივი, დარწმუნება უნდა დაკვირვო, თუ გაღვივი – ცაში ხელახაროვილი. ორივე საოცრად ჰგავს ლოცვას. ლოცვა კი არაფერს ისა არ უხდება, როგორც საფოტოლო.

ადამიანის სული სხეულზე გაცოცხლებით მიჩნება, იმდენად მიჩნება, რომ ერთადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიღრა ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ როგორც უკვდავყოთ ერთმანეთის სული, თქვენ ჩემი, მე – სხვისი, გარდაცვალების შემდეგ რომ არ დავოგლდეთ და გარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე.

გამოგზავრებათა ოცნადე ტოვი ინახება.

ამას, რა თქმა უნდა, წერილებების მიღება ძალიან ახარებდა და შექმედისდაგვარად უნდა უნებდა კიდევაც. ზოგს თავის წიგნებს უგზავნიდა, ხოლო ვინც ფოტოს სთხოვდა – ავტოგრაფთან ფოტოს უნდა სძლვნიდა.

ერთხელ მამამ მწერლი მიიღო კუბიდან. იქაურ ქალგატონს თურქმენსაანურ ენაზე წაეკითხა „მე, გავიდა, ილიკო და ილარიონი“. მამას ახარა, რომ ტყუილი შექმნა და გიჟს უზრკილოდ ადარებდა, ხოლო გოგოს – ზურკილა.

რუსეთის რომელიღაც ქალაქიდან მამას ერთი იქაური დედა წერდა – მოგაკვდავ ვიქლს სასთუმალთან, „მე შევადვამე“ ვუკითხავდი. დარწმუნებული არც კი ვიყავი, თუ მისმინდა, რასაც ვუკითხავდი... საგოლოოდ კი თქვენა ნიგნა მას სიცოცხლის სურვილი დაუბრუნა. მე ვფიქროვ, – წერდა ქალგატონი, – თქვენი წიგნები ავითიამვი უნდა იყიდებოდასო...

თქვენ წარმოიდგინეთ, მამა დღესაც იღებს წერილებს – გარდაცვალებიდან 24 წლის შემდეგ.

– გატონ ნოღარს უამრავი მემოგზავრი ჰქავდა საზღვარგარეთ, მათ შორის – რუსეთშიც. თუ გავიანებინა, ან თუ გრძობდა ეს მემოგზავრება ამაგად თქვენს ოჯახთან?

– რა გითხრათ... ზოგი საერთოდ დანიკარება, უმეტესობა

მწერლის ნაზრებიდან

საოლო, გვირნი ალარ არიან. მათი მოუღვებელი და დღე გვიგონებენ. ისინი ხშირად იკრიბებიან ხან ჩვენთან, ხან ერთმანეთის ოჯახებში. ძია ჯანსული მათ „სავლის ქალგატონებს“ ექხის. ისინი დღესაც ათხსჯიარ ნაამგოგს თავიანთი დიდი სიყვარულის აგებას უყვანიან ერთმანეთს – ცირა მიფინი, მერი სულაქაური, დალი ფანჯიკიძე, ლონა ნეკიძე, რომიტა ფოცხივილი...

– მკითხველთა ოჯახის წევრებს ნაწვებებს ჯერაც გვლანშეუბრობელი ნაწარმოებებიდან კოლგებრიდან ხელნაწერები ვინ კითხულობდა ახალ რომანს?

– ამის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი გულრიფშობა დანერვილი – ზღვის ნაპირს. გამოუქვეყნებულ, ახლადდნერილ ნაწარმოებებს პირველად დედაჩემს აკითხავდა. ვიღრა მე და მანანა პატარაი ვიყავით, ლეძებს გვიწერდა და მერე მხამაღლ გვიკითხავდა.

ერთხელ დამითგამაღვივა და „ჰელადოსის“ ხელნაწერი გამომინოდა – ნაიკითხაო. თვითონ საწოლზე ჩამოჯდა და მკვირდებოდა. გოლოში კითხვა გავიჭირდა, თვლები ცრემლით ამოვსო. როცა თავის შეკვება ვეღარ შევძელი და მამაღლა ავპოთინდი. ვუსახვედურა – როგორ გავიბეჩინებოდა სსიკვდილოდემთქი? მან ხელნაწერი გამომართვა და წყნარად მივასუსა: მამა, მე სწორედ შენი რეაქცია გინტმარებდასო...

დღესაც გვეხიანება. ეს მარტო უცხოველს როდი ეხება. ამის გარდაცვალების შემდეგ ჩვენს ოჯახში გვირნი იმისი მართვლი მემოგზავრის ალარ გამოჩენილა. ყველა ახლოვლი ჩვენ გვირდითა. ვერ წარმოვიდგინებ ცხოვრება გიგა ლორთქიფანიძის, გურამ გვირდენითელის და ჯანსულ ჩარკვიანის გარეშე.

ამის გარდაცვალების შემდეგ ისეთი ადამიანები ამოგვიდგნენ მხარში, რომლებიც ალრა თითქმისად ახლო მემოგზავრებად არც კი ითვლებოდნენ. დღეს, საფსუ-

საოლო, გვირნი ალარ არიან. მათი მოუღვებელი და დღე გვიგონებენ. ისინი ხშირად იკრიბებიან ხან ჩვენთან, ხან ერთმანეთის ოჯახებში. ძია ჯანსული მათ „სავლის ქალგატონებს“ ექხის. ისინი დღესაც ათხსჯიარ ნაამგოგს თავიანთი დიდი სიყვარულის აგებას უყვანიან ერთმანეთს – ცირა მიფინი, მერი სულაქაური, დალი ფანჯიკიძე, ლონა ნეკიძე, რომიტა ფოცხივილი...

– მკითხველთა ოჯახის წევრებს ნაწვებებს ჯერაც გვლანშეუბრობელი ნაწარმოებებიდან კოლგებრიდან ხელნაწერები ვინ კითხულობდა ახალ რომანს?

– ამის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი გულრიფშობა დანერვილი – ზღვის ნაპირს. გამოუქვეყნებულ, ახლადდნერილ ნაწარმოებებს პირველად დედაჩემს აკითხავდა. ვიღრა მე და მანანა პატარაი ვიყავით, ლეძებს გვიწერდა და მერე მხამაღლ გვიკითხავდა.

ერთხელ დამითგამაღვივა და „ჰელადოსის“ ხელნაწერი გამომინოდა – ნაიკითხაო. თვითონ საწოლზე ჩამოჯდა და მკვირდებოდა. გოლოში კითხვა გავიჭირდა, თვლები ცრემლით ამოვსო. როცა თავის შეკვება ვეღარ შევძელი და მამაღლა ავპოთინდი. ვუსახვედურა – როგორ გავიბეჩინებოდა სსიკვდილოდემთქი? მან ხელნაწერი გამომართვა და წყნარად მივასუსა: მამა, მე სწორედ შენი რეაქცია გინტმარებდასო...

დღესაც გვეხიანება. ეს მარტო უცხოველს როდი ეხება. ამის გარდაცვალების შემდეგ ჩვენს ოჯახში გვირნი იმისი მართვლი მემოგზავრის ალარ გამოჩენილა. ყველა ახლოვლი ჩვენ გვირდითა. ვერ წარმოვიდგინებ ცხოვრება გიგა ლორთქიფანიძის, გურამ გვირდენითელის და ჯანსულ ჩარკვიანის გარეშე.

კოლგებრიდან ძალიან ეწლოვოდა მწერალ ვახტანგ ჭელიძის გემოვნებას. ხელნაწერი აკითხავდა მამათვის ნაწარმოებებს გურამ ასათიანსა და ელივირ ყიფინას.

– გარდაცვალებამდე თუ გუზოვდა გატონი ნოღარი რომელიმე ნაწარმოებზე და, საერთოდ, რა ჩანაფიქრის განსწორცილება ვერ მოახსრო?

– ამას დანახვული ჰქონდა რომანი „გუსარი“. სულ რამდენიმე გვირდი დარჩა ხელნაწერის სხიში. როგორც ვხვდები, ეს ნაწარმოები ავტოგრაფიკული უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება განწმორცილებული ჩანაფიქრს – გოლოწლებში ამის ყველაზე დიდი ოცნება „მზიური“ იყო. აი, რისი განსწორცილება ვერ მოახსრო.

– რა მდგომარეობაში ამაგად ნოღარ ღუმბაძის სახლ-მუზეუმში?

– ამამჩემის საიმი სახლ-მუზეუმში არსებობს: ერთი – ვაკეში, „მზიურის“ გვირდით, სადაც დედაც ცხოვრობს. მეორე – გურინში, ამას სოფელში. ასევე – საგურამოში. თუმცა მე მას უფრო მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ფოტომაგნიტის დაგვარგვებელი.

მსოლოდ მუზეუმი კი არა, მამას სახელს უზარბაზარი ტანკირი ატარებდა. მასზე მუზეუმთან ერთად, ნოღარ ღუმბაძის სახელზე ერთი კაიუტა ატარებოდა. საწმუნარო, რომ დღეს იმ ტანკირს, „ნოღარ ღუმბაძე“ ალარ ჰქვია. გვირნი ვარკვი, თუ რა მოხდა, ამგარა დაგაჯერებელი ვასუსხი ვერავინ გამცა: ალბათ, საქართველოს საწმუნარო ვალეებს შეეძინა.

ესაუბრა მურად ზარნაძე

ნოღარ ღუმბაძე

გურია

ამწვენაული ქედები, ვარდი, ყახარო, იელი, განგაროს მხრიდან მოსული ნიავი

გადათიელი, მთაზე თამარის ცინება და ცინება ზეცა განია, თავზე რომ ჯანელი ეხვევა, გურული

ყახალახია, კვი, ამოდი, ამოვილო, შეხედე მემს –

რა ახლოა, იქით ტოლვის კალთები, ირმების საგალახო, და ეს გურია კი არა, სიცოცხლის საწმუნარო. გუბაზოლო, მითხარი, შენი სადაც სად არი, მეფე გუბაზის რაშივით რომ გაგიშლია

ვაფარი, მთვრალივით რომ გადმოგორდა, მზემ ცეცხლი სომ არ დალია, ეს მზეა თუ ნინოშვილის გული

და ნაღვერდალია?! ამწვენაული ქედები, ვარდი, ყახარო, იელი,

ამწვენაული ქედები, ვარდი, ყახარო, იელი,

განგაროს მხრიდან მოსული, ნიავო გადათიელი, ცა ვარსკვლავებზე დახვრება და

ზეცა ქედებს შერთვია, ერთია დღე და საღამო, მინა და ზეცაც ერთია, მზე მთაზე ფეხებს აითრევს,

დარჩენა ისა სწმუნია, სიცოცხლის საწმუნარო ჩემი პატარა გურია.

ბეთჰოვენი

ყოველ საღამოს, როცა მინდა დავწერო ლეძი,

როცა გავშვები ეზოს ნუშებს ეთხოვებინა, უცხო გოგონას ალვაული აკორდი მისის, დავდებ კალამს და დავშუწმუნებ, – გათჰოვენი...

ის მოყვას ჩემთან უცხო გოგოს უცხო ალერსით,

მოყვას, რომ გული, ჩემი გული სადაც დანილოს,

და იმ საღამოს, გათჰოვენი როცა არ მისის, მე მეშინია, ის გოგონა ავად არ იყო.

IQ

ბონების სავარჯიშო – მოცალეობის უამს

რუბრიკის „პრემიერა“

მარჯვე ბიჭო, ნიკო, შეიგონე ინკო!

ჩვენი გაზეთი ახალ რუბრიკას იწყებს, რომელიც ლათინური აზრების მატარებელია და პანია ორ-წყობილი (სხარტულით მონ-ნათლით: Intelligence Quotient IQ;

ძართულად – ინტელექტის კო-ფიციენტი (გნებავთ, ინტელექ-ტური კოეფიციენტი; მკითხ-ველთან შეთანხმებით, სათანადო აზრების მატარებელია):

ინკო (ეგვი კოეფიციენტის გან-მარტებას გაგვიხსენებინა: ეს არის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ შედის ერ-თი სიდიდე მეორეში.

როგორც ვიცით, ინტელექტი ადამიანის გონებრივი უნარია (ჩვენს დროში „უნარს“ მრავალგვარად რიცხვით მოიქცევა და მისი აღზრდა განსაკუთრებით უჭირავს „ეროვნული“ შეარქვას, სულ „უნარები“ განისაზღვრავს, ნათელი აზროვნება, აზრის სისწრაფა.

ახლა განვხილავთ ახალი რუბრიკის დასახელებას „IQ“ და „ინკო“. რაც შეეხება „ნიკოს“, ის მოზარდი თაობის წარ-მომადგენელია დავსახეთ (რითვის „ხათრით“ მ, იმ თაო-ვისა, რომლისთვისაც, ძირითადად, ჩვენი წამოწყებაა გაიჩნა (თუშცა იმ საბუნებო დავალებათა ფიქრი, ყმანვილას რომელიც ვთავაზობთ, ეგვი მოზარდილ-თათვისაც საბუნებო და გასართობი აღმოჩნდება.

გალაღი ინტელექტური კოეფიციენტის ამონა ბავშვს, უპრალოდ, გალანდომიან მოზარდს შესაძლებელი უპი-რატომ განვიცხვებთ ამჟამად სკოლაში სწავლისას, რამდენადაც ადვილად აითვისებს შესაბამის საპროგრამო მასალას; თუშცა ინკოს გალანი დონე თავისთავად რომელიც შე-დგომი წარმატების საჩინდარი. დიდი რო-ლის შესრულება შეუძლია ისეთ ადამიანურ თვისებას, რომელიც სასიამოვნო სიტუაციაში მი-ზანსწრაფულია, ორგანიზებულია, ტემპ-რამდენი... ეგვიც კია, რომ ასე თუ ისე, ყოველი ჩვენგანი აწყდება ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობას და გალანდომიან კაცს უნდა ჰქონდეს თავის სფეროში წარმატების იმედი.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული დავალებების დანიშნულება ისაა, რომ ინკოზე ტესტის გასა-ვლელად საზრუნავი მყოფმა მკითხველმა გა-ვარჯიშება შეძლოს.

ამჟამად იმ შედეგების არიან, რომ აღ-მინის ინკო ამჟამად მოგთავაზობთ დაფუძე-ბული, – კი, ინკოს ტესტება მუშაობით შეიქ-ვება მისი გაუმჯობესება, ოღონდ მხოლოდ ცოტათი: კაცის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინკო მუდმივად რჩება, ასაკთან ერთად ოდნავ გა-ზარდავით.

დღეიდან დაწყებული, ჩვენს ყოველ რუბრიკაში 10-დავლებიან ერთ ტესტს შემოგთავაზებთ. ყველა ტეს-ტი სირთულის დონით დაახლოებით ერთნაირი იქნე-ბა. დანიშნული დავალებების შესრულება, თითოეულ ტეს-ტზე საკუთარ თავს დაუწამეთ 2,5-წუთიანი დროითი ლიმიტი (ორგანიზმის ნათელი დავალებებზე ამ დროს თუ გადავიტყვებთ, ტესტი გაუმჯობესდებით. ყო-ველ სწორ პასუხზე ერთ ქულას (გალს მ ჩაიწერეთ. სის-წორეს რაც შეეხება, შეაჯერებთ ჩვენს მიერ გამოქვე-ყნულ სწორ პასუხებთან (მეორე დანაწილი, სის-ტემატურად მოგაწვდით წინა ტესტის პასუხებს.

რამდენადაც ჩვენებს (მოლური გამოთქმით, უნარ-ვევებს პრაქტიკა გამოვიჩვენებთ, ყოველი მომდევნო ტესტის კვალდაკვალ თქვენი შედეგები ერთგვარად უნ-და გაუმჯობესდეს.

ზოგიერთ კითხვაზე პასუხს დანერგებით ავსებით


და ჩვენი კომენტარები ეგვი სასარგებლოც გეჩვენეთ, თუკი გარკვეული ტიპის დავალებათა სირთულეები შე-გიქნება.

შეაჯერებთ დავალებები ქულები და მოგავალში ჩვენს მიერ მოწოდებული ცხრილის მიხედვით შეაფასეთ სა-კუთარი თავი. ქულების შესატყვისი პარანტი სურათი იქნება: დავაკმაყოფილებულია, კარგია, ძალიან კარგია, შესანიშნავია, განსაკუთრებულია.

ლეონოპოლოს ოპერის „ჯამბაზების“ პროლოგის არ იყოს, „გაშ ასე, ჩვენ ვიწყებთ!“...


ტესტი 1

1. წრეების ცხრილ სექტორებში ასოები ისე ჩაწე-რეთ, რომ საათის ისრის მოქარების მიმართულებით წაკითხვისას გამოვიდეს ორი სინონიმური რეასსო-იანი სიტყვა.




2. რომელი სიტყვა გეჩვენებათ უადგილო? გაგვიჩივით, გაგვიჩივით, თავსარიანი, გაფუჭული, გაფხორილი

3. 1,25; 1,25; 2,5; 7,5; ?
ქვემოთ მოყვანილ რიცხვებთან რომელს დააკავები-ვებთ კითხვის ნიშნის ადგილს?
3,5; 5; 6,5; 30



ქვემოთ განმარტებული სურათი ექსკუთხედიან რომელიც გაგვიჩვენებს ზედა რიგს?



5. ა ა ე ი ბ გ დ ე მ
დასაბამთ ასოები ისე, რომ მიიღოთ ლიტერატურ-ული ცნება.

6. 54:216:72
ქვემოთ მოყვანილი სურათი რიგშიან რომელიც შეეფარ-დება რიცხვები ერთმანეთს ისევე, როგორც ზედაში?
I. 37:111:52
II. 72:288:96
III. 84:336:84
IV. 78:296:98
V. 27:59:16

7. ფრჩხილებში ამოწერილი სიტყვებიდან მნიშვნე-ლოვანი რომელიც ასომთავრულით დაწერილი სიტყვის საპირისპირი?
კომპლექტური (ფიქციონალური, კომპლექტური, რუბრიკატული, ფრანგული, კუსტარული)

8. ჩაწერეთ ფრჩხილებში სიტყვა, რომელსაც მოერ-გება ორივე განსაზღვრება ფრჩხილებს გარეთ.
დიდი მოსწორული ადგილი (... მინის დასაფუძე-ვებელი იარაღი

9. 79854; 4587; 754?
ამ რიგში რომელი წევრი დაჯდება კითხვის ნიშნის ნაცვლად?

10. რომელი მხეცი წაიკითხება ფრჩხილებში ქვემოთან ზემოთ, თუ შეეფასებთ ყველა სურათსონიან სიტყვას?
გად (ძ ბ
ვან (ძ ი
ანც (ძ ს
ბარ (ძ ი
სარ (ძ ბ

... იმ მკითხველთათვის, ვინც რუსულ ენას, საბარტე-ლოში მრავალთაგან განსხვავებით, არ „გაგუტვია“, და-ვასახელებთ ამ ენაზე გამოცემულ წიგნს, რომელიც ჩვენი წამოწყების წყაროდ იქცა: კენ რასელი, ფილიპ კარტერი. „ჩაიბარეთ ტესტი IQ-ზე“. მოსკოვი, „ექსპო“, 2006.
რამდენი სიტყვა ავტორებზე. კენ რასელი – „პრიტა-ნეთის ურნალ Mensa-ს თავსატეხების რუბრიკის რედაქ-ტორი, ლონდონელი მიმოხილველი. ამ გამოცემას 40 000 ხელმოწერილი ჰყავს; ფილიპ კარტერი – საერო მოსამარ-თელი და ექსპერტი იორკშირისან. Mensa“-ს თავსატეხების მოყვარულთა სექციის ყოველთვიურ ბიულეტენში Enigmasig-ში რუბრიკის წამყვანი.

რეკლამა კოსტავას
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ანაკლოტები
– თქვენ მხატვარი ხართ?
– არა, უპრალოდ „პანელიაზე“ ვარ.

ივანი მივლინები-დან მოულოდნელად დაბრუნდა და ცოლს ლოგინში საყვარელ-თან წაასწრო.
– ეი, რას შვრები, დაბა, შენ შეიქვება გალანი სიბარბის მოწვევაც დაიწყე, აი!

როდესაც სული ფანებში გეპარება,
ადრენალინი პირდაპირ შარდის გუშ-ტში გამოიყვება.

– ექიმო, იგი მუდმივად გვატარორებს თავისი რჩევა-დარბებებით, გვასწავ-ლის ცხოვრებას, ჩვენს საჭმელებს ერე-ვა... რას მიჩვენებ, ექიმო? – ეკითხება პაციენტი ფსიქონალიტიკოსს.
– ნუ ნერვიულობთ, გვერსა აქვს ასე-თი კონფლიქტები სიღიდრთან...
– რის სიღიდრი, ექიმო, ამერიკაზე გელაპარაკებით!



საქართველოს რესპუბლიკა
გამომცემელი: შპს „თანადგომი“-ჯგუფი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი (დავით აღმაშენებლის №50. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აინყო და დაკავალდონდა გამომცემლობა „მედიამუშვი“. 95-11-92
იკაძევა „კოლორი“ (რკინიგზის ჩინი, № 20)
მთავარი რედაქტორი ალექსი ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანი 899 53-76-16; რუსლან რუსია 899 17-21-21; სპარტაკ მოუზილი 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი: გარუა ვაგაჩიკი 899 74-90-07
ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუქ-ვეთაში მასალაში და-ნიშნულია ავტორთა სა-რედაქციო მისამარ-ებები, შესაძლოა, მუ-ღამ არ ემთხვეოდეს რე-დაქციის პოზიციას.